ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 149

“ 28 ” აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო გამზირისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მარტის №84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო გამზირისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მარტის №84 განკარგულება.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი